განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის (CDD) რეკომენდაციები საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD) აქტიურად განაგრძობს მუშაობას საქართველოში საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისა და საკანონმდებლო ბაზის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიმართულებით. მრავალწლიანი მუშაობის, დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად, ნათლად გამოიკვეთა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისათვის აუცილებელი რიგი პროცედურული საკითხების დახვეწის აუცილებლობა, რაც არაერთხელ იქნა აღნიშნული CDD-ის მიერ განხორციელებული სადამკვირვებლო მისიების (2014-2016) ანგარიშებში.

მიგვაჩნია, რომ მოახლოებული 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნებისთვის საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება და საკანონმდებლო ბაზის დახვეწა კვლავაც აქტუალურია, რაც მოითხოვს ღია დისკუსიების წარმართვას, საარჩევნო პროცესში მონაწილე მხარეთა მაქსიმალურ ჩართულობას, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებასა და ეფექტიან კონსენსუსს.

საკონსტიტუციო ცვლილებების საბოლოო რედაქციის მიღებამდე და ისეთი ძირეული საკითხების განხილვამდე როგორიცაა: საარჩევნო სისტემა, საარჩევნო ადმინისტრაციის ფორმირების წესი და სხვ. საქართველოს პარლამენტში, საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების დახვეწის მიზნით CDD-მ შეიმუშავა ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციების პაკეტი:

✓ **წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლება**

მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანია საარჩევნო კანონმდებლობაში ნათლად განისაზღვროს საჯარო პირების/მოხელეების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებში პასიური მონაწილეობის საკითხი. საქართველოში გამართულ ბოლო რამოდენიმე არჩევნებში ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხად განიხილებოდა ასევე ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლების მონაწილეობა აგიტაციის/კამპანიის პროცესში, როდესაც ისინი რეალურად ასრულებდნენ სამსახურებრივ მოვალეობას. ასევე მნიშვნელოვანია საარჩევნო კანონმდებლობაში მკაფიოდ განისაზღვროს აქვთ თუ არა ძალოვანი სტრუქტურის თანამშრომლებს/პოლიციელებს ამგვარ ღონისძიებებზე დასწრების უფლება და თუ აქვთ რა პირობებით შეუძლიათ მათ ამის გაკეთება.

✓ **პოლიტიკური რეკლამა**

მიგვაჩნია, რომ კანონით უნდა განისაზღვროს ფასიანი პოლიტიკური რეკლამის ზედა ზღვარი. მაუწყებელთა ფინანსური დეკლარაციების მიხედვით დაანგარიშდეს ე.წ. უფასო პოლიტიკური რეკლამის ღირებულება და მოხდეს მისი კომპენსირება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ამ ცვლილებების განხორციელება ერთის მხრივ ხელმისაწვდომს გახდის პოლიტიკური რეკლამის განთავსებას ყველა პარტიისთვის, ხოლო მეორეს მხრივ ხელს შეუწყობს მაუწყებლების მდგრადობას.

მნიშვნელოვანია კვალიფიციურ საარჩვენო სუბიექტებს მიეცეთ სპეციალური სარეკლამო ვაუჩერები, რომლითაც ისინი შეძლებენ განათავსონ პოლიტიკური რეკლამა მათთვის სასურველ არხზე. ამგვარი ცვლილება მოუხსნის ე.წ. უფასო პოლიტიკური რეკლამის განთავსების ტვირთს კერძო მაუწყებლებს.

ასევე, მნიშვნელოვანია უფრო მეტად თანაბარი პირობების შექმნა საარჩევნო სუბიექტებისთვის მედიასთან წვდომის კუთხით. მიგვაჩნია, რომ უფასო სარეკლამო დრო პოლიტიკურ პარტიებს შორის უნდა გადანაწილდეს უფრო სამართლიანად.

კერძოდ:

✓ ახალ წესში გარკვეული პროპორციით გათვალისწინებულ იქნას საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა;

✓ საარჩევნო ბლოკში შემავალ პარტიასა და არჩევნებში ინდივიდუალურად მონაწილე პარტიებს შორის სარეკლამო დრო გადანაწილდეს დიფერენცირებულად, კერძოდ, მეტი დრო მიეცეს ინდივიდუალურად მონაწილე პარტიას, რათა თავიდან ავიცილოთ საარჩევნო ბლოკების შექმნის

შშმ პირთა მონაწილეობა საარჩევნო და პოლიტიკურ პროცესებში

მიგვაჩნია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის პასიური სარჩევნო უფლების გამოყენების უზრუნველსაყოფად აუცილებელია შეიქმნას თანასწორობის ფონდი, რომელიც უზრუნველყოფს პოლიტიკური პარტიების მიერ შშმ პირთა კანდიდატებად წარდგენისა და ხელმძღვანელ პარტიულ თანამდებობებზე დანიშვნის სტიმულირებას. აგრეთვე, დააფინანსებს კონკრეტული შშმ კანდიდატის საჭიროებებს, რათა მან შეძლოს საარჩევნო კამპანიის წარმართვა თანასწორ პირობებში. აღნიშნული მიმართულებით, შესაძლებელია გამოყენებული იქნას წარმატებული საერთაშორისო გამოცდილება.

პოლიტიკური პარტიების დაფინანსება

უმნიშვნელოვანესია, გადაიხედოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის რესურსები და კონსტიტუციური მანდატი, რათა მათ შეძლონ სრულფასოვანი ფინანსური მონიტორინგის განხორციელება და პოლიტიკაში არსებული თანხების მაქსიმალური გამჭვირვალობის ხელშეწყობა.

აუცილებელია, გადაიხედოს საარჩევნო წლიური ხარჯების საერთო ოდენობა. საჭიროდ მიგვაჩნია მთლიან შიდა პროდუქტთან კავშირის გაუქმება და რეალური ზედა ზღვარის დადგენა, რომელიც შეესაბამება მოსახლეობის რაოდენობას და საარჩევნო კამპანიისათვის ხელმისაწვდომ რესურსებს.

ამომრჩეველთა სია

გამომდინარე იქნიდან, რომ მოსახლეობის მიგრაცია, საცხოვრებლის შეცვლა, გარდაცვალება, და სხვა ფაქტობრივი მიზეზები, შეუქცევადი პროცესია საჭიროა აქტივობების გაგრძელება ამომრჩეველთა სიების სრულყოფის მიზნით. აგრეთვე, მნიშვნელოვანია გაგრძელდეს მუშაობა პრობლემურ მისამართებსა და რეგისტრაციიდან მოხსნილ ამომრჩევლებთან დაკავშირებით. საქართველოში რეგისტრაციის მისამართის შეცვლის მარტივი და ხელმისაწვდომი პროცედურის ამოქმედებით საქართველოს ბევრი მოქალაქე შეძლებს ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართისა და იურიდიული მისამართის შესაბამისობაში მოყვანას.

აუცილებელია, გარდაცვლილი პირების გამოვლენის მიზნით, ეფექტიანი სამუშაოების წარმოება და ადგილობრივი მუნიციპლიტეტების ჩართულობით, გარდაცვალების ფაქტების აღრიცხვის პროცესის ორგანიზება.

ამომრჩეველთა სიაში შესული ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც შესაძლოა ამომრჩევლისთვის ხმის მიცემის უფლების შეზღუდვა მოჰყვეს, საკმარისად ადრე უნდა განხორციელდეს, რათა შესაბამის უწყებებს საინფორმაციო კამპანიის ჩასატარებლად და ამომრჩეველთა ხელახალი რეგისტრაციისათვის საკმარისი დრო ჰქონდეთ.

კენჭისყრის დღის პროცედურების გამარტივება

მიგვაჩნია, რომ კენჭისყრის დღე გადატვირთულია რიგი პროცედურებით, რაც ართულებს კენჭისყრის პროცესის ადმინისტრირებას, მოითხოვს დამატებით დროსა და რესურსებს.

კენჭისყრის დღის პროცედურების გამარტივების მიზნით მიზანშეწონილად მიგვჩნია, საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელება.

კერძოდ:

✓ მიზანშეწონილად ვთვლით მარკირების პროცედურის ამოღებას, რომელიც ჩვენის აზრით არაეფექტიანია ქართული რეალობისათვის. იგი აჭიანურებს ხმის მიცემისა და რეგისტრაციის პროცესს საარჩევნო უბანზე, ვინაიდან საჭიროებს დამატებით დროს, მოითხოვს ფინანსურ რესურსებსა და კენჭისყრის პროცესის უსაფრთხოების არსებულ პირობებში, წარმოადგენს უსარგებლო პროცედურას.

✓ არა ეფექტიანად მიგვაჩნია ხმის მიცემის დროს კონვერტის გამოყენება. ხშირ შემთხვევაში საარჩევნო ბიულეტენს/ბიულეტენების საარჩევნო ყუთთან კონვერტში განთავსების დროს ხდება ამომრჩევლის ნების ფარულობის დარღვევა. იმ პირობებში, როდესაც კონვერტი არ წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტს (არ არის დაცული საარჩევნო დოკუმენტაციის უსაფრთხოება), მისი არსებობა არის დამატებითი პროცედურა ხმის მიცემისა და დათვლის პროცესში. იგი ასევე ქმნის ერთგვარ ბარიერს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.

მნიშვნელოვანია, კენჭისყრის პროცესის უსაფრთხოებისა და სიზუსტის, ასევე ხმის მიცემის/დათვლის პროცესის ფარულობის უზრუნველსაყოფად საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა (შესაძლებელია საწყის ეტაპზე პილოტირება).

✓ ასევე მიზანშეწონილია დაინერგოს საარჩევნო გაყალბების რისკებისა თუ სისტემური მანიპულაციების თავიდან აცილების მსოფლიოში გავრცელებული პრაქტიკა - ამომრჩეველთა რეგისტრაცია ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით (ბიომეტრიული რეგისტრაცია). გამომდინარე იქიდან, რომ იუსტიციის სამინისტროს გააჩნია ამომრჩეველთა უმრავლესობის ბიომეტრული მონაცემები, მნიშვნელოვანია მისი გამოყენება კენჭისყრის დღეს ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესის დროს.

საარჩევნო ადმინისტრაციის რეფორმა, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობის ოპტიმიზაცია და კვალიფიკაციები

მიგვაჩნია, რომ უნდა გადაიხედოს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ფუნქცია – მოვალეობები და მოხდეს მათი ოპტიმიზაცია. კენჭისყრის დღის პროცედურების გამარტივებისა და რიგი ფუნქციების სწორად გადანაწილების პირობებში შესაძლებელია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობის შემცირება.

აუცილებელია საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა წევრს ქონდეს მინიჭებული კონკრეტული ფუნქცია, ხოლო იმ უბნებზე, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა მცირეა შესაძლებელია, საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ 6 წევრის ნაცვლად დანიშნული იქნას 2, 3, ან 4 წევრი. ამ შემთხვევაში საჭიროა სავალდებულო ნორმად გაიწეროს, მსგავსი ტიპის საარჩევნო უბნებზე საუბნო კომისიის თავმჯდომარის არჩევა საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ პროფესიული ნიშნით დანიშნული წევრებისგან. კომისიების შემადგენლობის ოპტიმიზაცია ხელს შეუწყობს არსებული რესურსის უკეთ გადანაწილებას, გაუმჯობესებს ადმინისტრაციის წევრების ანაზღაურების და გაზრდის მომზადების ხარისხს.

უმნიშვნელოვანესია საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ტრენინგებზე დასწრების ვალდებულების მკაფიო რეგულირება და კონტროლი საარჩევნო კომისიების მხრიდან. კომისიის წევრთა დანიშვნის/წარდგენის ვადების გაზრდა (არჩევნებამდე მინიმუმ 25 დღემდე), ასევე, პოლიტიკური პარტიების მიერ კომისიის წევრთა გამოწვევის ვადების შეზღუდვა, რათა მოხდეს კომისიის წევრთა სათანადო მომზადების უზრუნველყოფა.

მიგვაჩნია, რომ არსებული სისტემით საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების პირობებში (შერეული სისტემა: პროფესიული და პოლიტიკური პარტიების წარმომადგნელები) აუცილებელია საარჩევნო ბლოკისთვის, როგორც საარჩევნო სუბიექტისთვის დაზუსტდეს საარჩევნო ადმინისტრაციაში წევრთა წარდგენის მაქსიმალური რაოდენობა, რათა უზრუნველყოფილი იქნას პოლიტიკური პლურალიზმი საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობაში, რაც წარმოადგენს პარტიული ნიშნით დანიშნული წევრების წარმომადგენლობის მთავარ არსს.

მიგვაჩნია, რომ გადახედვას საჭიროებს საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტებასთან დაკავშირებით მოქმედი წესი. მიზანშეწონილად ვთვლით გასაუბრება გახდეს კონკურსის სავალდებულო ეტაპი. აუცილებელია განისაზღვროს გასაუბრებისა და კანდიდატების შეფასების ობიექტური კრიტერიუმები, რის საფუძველზეც მოხდება ყოველი კანდიდატის სრულყოფილად შეფასება და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება. სასურველია ის პირები, რომლებიც უახლოეს, ორ ან სამ არჩევნებზე იყვნენ პარტიის მიერ საარჩევნო ადმინისტრაციაში დანიშნული წევრები, არ დაინიშნონ პროფესიული ნიშნით საარჩევნო კომისიებში.

მნიშვნელოვანია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შერჩევისათვის შემუშავებულ იქნას ცოდნისა და პრაქტიკული უნარჩვევების შეფასების მარტივი მექანიზმი. შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ელექტრონული სწავლებისა და შეფასების სისტემა, რომლის გავლის აუცილებლობაც კანონით იქნება გათვალისწინებული.

სასურველია, შემოღებული იქნას საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების 2 დონიანი სისტემა (მაგ: საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის - პროცედურული ხასიათის სერტიფიცირების ვალდებულება; საოლქო და ცენტრალური საარჩევო კომისიის წევრებისათვის დარჩეს არსებული სერტიფიცირების სისტემა). ვფიქრობთ, აღნიშნული სისტემის დანერგვა ხელს შეუწყობს კვალიფიკაციის დონის ზრდას საუბნო საარჩევნო კომისიების დონეზე და საგრძნობლად გაზრდის კომისიის წევრთა ანგარიშვალდებულების დონეს. აღსანიშნავია, რომ სერტიფიცირება არ გულისხმობს არსებული ტრენინგების სისტემის ჩანაცვლებას.